საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის ც. მთავარ კომიტეტის ორგანო.

სოციალისტ-ფედერალისტი

კვირა მაისი 29
1921 წ.
ფასი 100 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობოლნი: მეუღლე ვასილი, ასულნი ელენე, სარა და მარგარიტა, ძენი ანდრია და თეიმურაზ აცხადებენ თავის ნათესავ-მეგობართ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ პარასკევს, მაისის 27-ს, გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

ნინო ბარნოვისა

პანაშვიდი შაბათს, საღამოს 7 საათზე გასვენება ბინიდან (გუნიბის ქ. № 16) კვირას, მაისის 29-ს დილის 10 საათზე. წირვა და პანაშვიდი ქაშვეთის ეკლესიაში. დასაფლავება დიდუბის ეკლესიაში კვირასვე.

გიორგი, ანდრია, გაბრიელი, მიხეილი და ილია ენიაშვილები ოჯახებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავ-ნაცნობთ ძვირფას დაუვიწყარ დის

ნინო ბარნოვის

უდროოვოთ გარდაცვალებას. გასვენება კვირას მაისის 29-ს, დილის 10 საათზე, ბინიდან (გუნიბის ქუჩ. № 16). წირვა და პანაშვიდი ქაშვეთის ეკლესიაში. დაკრძალვა დიდუბის ეკლესიაში. 1061.

ღრმად მწუხარებაში მყოფი ქვრივი ელისაბედ დარჩიაშვილისა მადლობას სწირავს ყველა იმათ, ვინც მონაწილეობა მიიღო მის მწუხარებაში ძვირფასი მეუღლის

მიხეილ ივანეს ძის დარჩიაშვილის

გარდაცვალების გამო. განსაკუთრებით ამხანაგ—რკინის გზის მოსამსახურეებს. 1062.

გულდათუთქული მშობლები ბესარიონ. და ნატო (მაკრო) გაგუები აცნობებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს თავის უსაყვარლესის ერთად ერთის ქალიშვილის

ვალენტინას

უდროოვოდ გარდაცვალებას, რომელიც შაბათს, მაისის 27-ს საღამოს 5 საათზე პანაშვიდის შემდეგ წაასვენეს სოფ. ზანაში (ზუგ. მაზრა), სადაც მოხდება დაკრძალვა.

კვირას მაისის 29 დიდუბის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ხუროთ მოძღვარ

სვიმონ გრიგოლის ძე კლდიაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ ჭირისუფლები. 1057

გულდამწვარი დედა მართა, ცოლი სარა ელიზბარის ასული, ძმა აბაკო დავითისძე, რძლები მაგდანი და სოფიო, ძმის წული აკაკი რაჟდენის ძე ყიფიანები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, მაისის 29. ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდია

გერმანე დავითის ძე ყიფიანის

სულის მოსახსენებლად. 1055

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წიგნთ-საცავი

ამით უკანასკნელად მიჰმართავს თხოვნით

ყველას ვისაც კი წაღებული აქვს წიგნთ-საცავიდან წიგნები—როგორც ტფილისში მყოფთ ისე ტფილისიდან წასულთ—

პროფესორებს, ასისტენტებს, სტუდენტებს და სხვებს

დაუბრუნონ წიგნთ-საცავს წაღებული წიგნები მიმდინარე წლის ივნისის 5-მდე. წიგნთ-საცავი ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა უქმე დღეებისა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. 32

სააქციზო სამმართველო ამით აცხადებს რომ ღვინის სარდაფის ეპიტროპოსს ნასყიდა სააკოვს მე-9 უბ. დიდმთავრის ქუჩ. № 35 დაუკარგავს ღვინის შეძენის ნებართვა № 42 მიცემული საექციზო სამმართველოს მიერ 1921 წლისათვის ეს მოწმობა დღეიდან ითვლება გაუქმებულად.

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურად ხმარობს 1914 წ 606
სიფილისი, კანის, ვენერიული,
ხუხუნათი და შარდისა.
ახალი ოლღინოვის ქ. 5, ცენტრი.
[illegible] რამზის ახლო. ავადმყოფები
იღებს 10—2 და 5—7 საათ. 946

კბილის ექიმი
აპოლონ ურუშაძე
განახლა ავადმყოფების მიღება
9—1 ს. და 4—7 ს.
ბებუთოვის ქუჩა 13_ბინა 1. 29

კოოპერატივთა საყურადღებოთ

სტამბოლის (კონსტანტინოპოლის) ბაზარზე მოზიდებულია დიდძალი (მანუფაქტ.)

ფართალი, ფქვილი შაქარი და სხვა და სხვა ყოველგვარი საქონელი,

რომლის გამოტანა თავისუფალია

ვინაიდან ბლოკადა სრულებით არ არსებობს. მე ორი მგზავრობა ამ მოკლეხანში გავაკეთე და მალე გაბრუნებას ვაპირებ და

ვღებულობ დავალებებს

პირობებზე პირადათ მოველაპარაკები. **დავით ქებაძე.**
1059

მაისის 26 დღესასწაულობა ტფილისში.

ზოგადი შთაბეჭდილება.

ცა ოდნავ მოღრუბლულია... დრო გამოშვებით გამოანათებს მზის სხივი და მაიმალება. წინასწარ თქმა იმისა, თუ მოვა წვიმა, თუ დადგება ამინდი, შეუძლებელია... მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ქალაქის მთავარ ქუჩებზე თანდათან იზრდება ხალხის გროვა.

დილის 9 საათიდან ქუჩებით თავმოსაყრელად დანიშნულ ადგილებისკენ სიმღერით მიეშურებიან მუშები და პროფორგანიზაციები. ქალაქის სხვა და სხვა ადგილზე გროვდება ხალხი, რომელიც ცერემონიალურ დღესასწაულში იღებენ არა პირდაპირ მონაწილეობას. განსაკუთრებით ერევნის მოედანზე, სადაც ათასობით მოიყარა ხალხმა თავი. თან-და-თან ცა იწმინდება და უკვე დილის 10 საათისათვის მასზე არც ერთი ღრუბლის ნაფლეთი არ არის... ასიცხეა, მაგრამ, როგორც წინეთ ნისლიანი ცა არევის ამინდებდა, აგრეთვე ნათელ სამხრეთ მზის სხივები ვერ აკავებენ ხალხს, მხოლოთ აიძულებს კი მათ ჩრდილიან ადგილების გამოძებნას. ასწრაფად გაივსო ეს ადგილები, მაგრამ ხალხის გროვა მაინც იზრდება და უკვე ავსებს ქუჩების და მოედნების მზიან გვერდსაც.

11 საათის დასაწყისიდან ვანკულოვის ქუჩიდან გამოჩნდა კარნავალი და რუსთაველის პროსპექტით მიდის პლეხანოვის პროსპექტისაკენ, სადაც სათავეში უდგება მსვლელობას.

კარნავალი.

არა დროს თბილისს ჯერ არ უნახავს იდეურად ის გამომუშავებული და მისთაო შეფარდებულად დასრულებული კარნავალი. კარნავალის იდეა არის—საქართველოს ხალხთა განთავისუფლების ისტორია იმპერიალიზმის მონობიდან. ამ ისტორიას გამოუხატავს 8 სურათი საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების სხვა და სხვა მომენტებიდან 8 ეტლით.

1-ლი ეტლი. 1-ლი ეტლი გამოსახავს მეტეხის ციხეს თვითმპყრობელ რუსეთის სამეუფოვან დროშით და ციხის კედლის თავზე უზის ზედამხედველი სდგას ამოღებული ცულით. მეტეხის ციხეში სხედან დაპატიმრებულნი, ციხეზე ჰკიდია პლაკატი შემდეგი შინაარსისა „მეფის სახელისა და განკარგულებისათვის საქართველო მეტეხში იტანჯებოდა. მომთხრობი კი ამბობს:" მეფის ბრძანებით ქვეშ კვნესოდნენ ხალხის საუკეთესო შვილები ციხეებში. აქ მეტეხის ფანჯრებში დამწყვდეულნი იყვნენ ერთად ბოლშევიკებიც და მენშევიკებიც".

2-ე ეტლი. მე-2 ეტლი გამოსახავს მეფის ხელისუფლების დამხობას მენშევიკებისა და ბოლშევიკების შეერთებული ძალებით: ტახტზე ზის მეფე გვირგვინით ხელში არყის ბოთლი. ტახტზე მიბმულია თოკით რომლის ბოლოც ხელს უპყრავთ მენშევიკ-ბოლშევიკს პლაკატებზე დაწერილია:

„მეფის ტახტი, დამპალ ფესვით
მენშევიკმა დასცა ძირსა
ბოლშევიკი მიეხმარა
მას ამ დიად გასაჭირსა".

მომთხრობი იუწყება: „თვითმპყრობელობის დამხობამდე, მენშევიკი და ბოლშევიკი გადიოდნენ ხელი-ხელ ჩაკიდებულნი და მათი—საერთო ძალღონით დამხობილ იქნა საზიზღარი ტახტი".

მე 3 ეტლი.

„ოქტომბრის ამბოხების ჟამს მენშევიკი ჩვენ მტერთან ბანაკში მოექცა", ამბობს პლაკატი. ეტლი გავსებულია აჯანყებულ ხალხით, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებას იცავს. მომთხრობი ამბობს: „როდესაც ხალხმა ოქტომბრის დიდ დღეებში ძლევამოსილი იერიშით დაამსხვრია უკანასკნელი ბორკილები, მენშევიკები არ გაყვნენ მათ. მენშევიკებმა გასცეს ისინი, როდესაც გარბოდენ მტრის ბანაკში და სცდილობდნენ თან გაეყოლიათ პროლეტარიატის შეუგნებელი ნაწილი.

„კომუნისტურ წარღვნის ჟამს ჩვენ
დაგვრჩა ერთი გზა—ევროპისაკენ".

მენშევიკი ზის ძველ გალოშში, რომელსაც აწერია: „ნოეს კიდობანი". იგი წითელ ზღვის ტალღებზე მისცურავს. მენშევიკი იცქირება საჭვრეტელში, რათა არარატი დაინახოს, რომელზედაც სურს რომ მიაკრას პატარა დროშა შემდეგი წარწერით: „დემოკრატიული თეზისი".

მომთხრობი ხსნის: „მაგრამ ვერაფერმა ვერ შეაკავა რევოლიუციონური წარღვნა და როდესაც იგი მოედო მთელ ქვეყანას, მენშევიკებმა ისარგებლეს ოქტომბრის მებრძოლთა სისხლით მოპოვებულ უფლებით და დაამახინჯეს იგი და მოგლიჯეს ქართველი ხალხი რუსეთის ძმურ პროლეტარიატს. ტყვილად მისცურავენ ისინი მსოფლიოს ზღვის ტალღებზე ნავთსაყუდელის და არარატის საძებნელად.

„თავისუფლებას მოწყურებული
ნოე არარატის ძირში იმყოფება".

მენშევიკები სდგანან ანტანტის ტახტთან, რომელიც წარმოადგენს ფერუმარილით შეთითხნილ დაბერებულ დედაკაცს, ხარბაზნით ხელში; მას უპყრავს ჯაჭვი, რომლითაც დაბმულნი არიან ქართველი მუშა და გლეხი. მომთხრობი იუწყება: „საშინელი სირცხვილი გამცემლებს. მათ უცხოელთ მიმართეს და ანტანტის ოქროში გასცვალეს თავისუფლება და დამოუკიდებლობა თავისი ხალხისა".

ეტლი—6. „კაპიტალისტებმა საქართველოს მუხრუჭი მოუჭირეს". ეტლზე არის მუხრუჭი, რომელსაც ორი კაპიტალისტი ატრიალებს, ამ მუხრუჭის ქვეშიდან თავი გამოუყვიათ ქართველი ხალხის შვილებს. მომთხრობი იუწყება: „და აი მტაცებელნი მაინც მოვიდნენ საქართველოში, რათა დაიმონონ თავისუფალი ქართველი ხალხი, ისარგებლონ მათის სიმდიდრით და აწამონ იგინი ჯერ—კიდევ უცნობ ეკონომიურ მარყუჟის შემწეობით:

ეტლი—7. „ძირს ძალმომრეობა, ძალაუფლება ხალხს! ბურჟუაზიები გარბიან".

აჯანყებულმა ქართველმა ხალხმა განითავისუფლა თავი კაპიტალისაგან და გადმოაბრუნეს არასასურველი მუხრუჭი. მომთხრობი:

„მაგრამ თავისუფალმა ხალხმა ვერ გაუძლო ძალმომრეობას, მათის არწივები აჯანყდნენ და რუსეთის ძმურ პროლეტარიატის შეოპებით მოიცილეს თავიდან დაწყევლილი უღელი".

ეტლი 8. აპოთეოზი—განთავისუფლებული საქართველო.

„მაღლა ავწიოთ ჩვენი კომუნის ღერბი გაუმარჯოს ქართველი ხალხის დამოუკიდებლობას".

მომთხრობი: და აი დადგა დრო ნამდვილი განთავისუფლებისა, ნამდვილი დამოუკიდებლობისა. ლ.მ.ზ საქართველოს ფერხთით მისი შვილებია—გლეხი და მუშა,—რომელნიც ნამგლისა და ჩაქუჩის დიად ჯმალებას აქებენ. საქართველოს თავისუფალი გლეხი და მუშა თავის დროშებს ხრიან ახალი ღერბის წინაშე. გაუმარჯოს თავისუფალ დამოუკიდებელ საქართველოს.

გაუმარჯოს თავისუფალ ხალხთა თავისუფალ კავშირს.

ყველგან თავის სვლის დროს კარნავალი ხალხის ყურადღებას იქცევდა, განსაკუთრებულ ყურადღებას იწვევდა ეტლები, რომელიც გამოხატავდა ანტანტს და „ნოეს კიდობანს".

უკანასკნელ ეტლის მომთხრობის წარმოთქმული სადღეგრძელოები ყველგან დიდ ტაშს იწვევდა; მომთხრობს უხდებოდა თავის სიტყვების გამეორება.

კარლ მარქსის მოედანზე.

პირველი მიტინგი მოეწყო ყოფილ ვარანცოვის მოედანზე, კარლ მარქსის ძეგლის დადგმის გამო.

უკვე დილის 10 საათისთვის მოედანზე სიცოცხლე ფეთქობოდა. ხალხი ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდა და მსჯელობდა დღესასწაულის შესახებ. 11 საათისთვის, როდესაც პლეხანოვის პროსპექტზე გამოჩნდა პირველი პროცესიები და გაისმა ორკესტრის და რევოლიუციონური სიმღერების ხმა, მოედნის ახლო-მახლო ქუჩები ხალხით აივსო. მოედანზე მოდიოდნენ და ეწყობოდნენ ლაშქრის ნაწილები და პროფორგანიზაციები. ვარანცოვის ძეგლის ადგილას გამართულ ტრიბუნის გარშემო დალაგდნენ საქართველოს ქალთა ყრილობის მონაწილენი. მთელი მოედანი მზისგან გაბრწყინებული და დროშებით მორთული იყო. მაღლი 2 ტანის სიდიდით დახატულ კარლ მარქსის სურათით შუაში წარმოადგენდა მშვენიერ სანახაობას. 12 საათზე

მოედანზე გაიარა კარნავალმა, რომელმაც ხალხში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია.

მიტინგი გახსნა ქალაქის რევკომის თავმჯდომარემ ამხ. დოლიძემ. საქართველოს რევკომის თავმჯდომარე ამხ. ფილიპე მახარაძე მოკლე და ცოცხალი სიტყვით მიესალმა საქართველოს იმპერიალიზმის უღლიდან განთავისუფლების დღეს, როდესაც ძველი წესწყობილების განსახიერების მეფის მოადგილის ვარანცოვის რკინის ფიგურის ადგილას ქართველი ხალხი ჰხედავს მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ფიგურას.

სახ. კომისართა საბჭოს სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა საქართველოში ამხ. ლეგრანმა.

1-ლი საათზე მიტინგი დაიხურა ძლიერის ტაშით და ინტერნაციონალის მღერით.

საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეა.

საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეა (ყოფილი დიდების ტაძარი) მორთულია პლაკატებით. შუაში დიდი პლაკატი შოთა რუსთაველის სურათით, გვერდებიდან პლაკატები ქართველ ქალების სურათებით რომლებიც უძღვნიან დიდებას პოეტს. შენობის კიბეებზე გამართულია ესტრადა ორკესტრისათვის, დროშებით და გირლიანდებით მორთული. ესტრადის წინ ძევს ფარი წარწერით: „სამარადისო დიდება შოთა რუსთაველს“. ესტრადის გვერდით დგა ქართული ეროვნული ხორო კომპოზიტორ კ. ფოცხვერაშვილის მეთაურობით. საქართველოს რევკომის სახელით მიტინგი გახსნა ამხ. თოდრიამ. პირველი სიტყვა ერგო საქართველოს რევკომის თავმჯდომარეს, ამხ. ფილიპე მახარაძეს, რომელმაც თავისი მოკლე სიტყვაში აღნიშნა, რომ მიუხედავათ იმისა, რომ შოთა რუსთაველი არ იყო პროლეტარული პოეტი, მისი იდეები მაინც [illegible] მისაღები იყვნენ ყველა მუშა გლეხთათვის. „ჩვენ ვხედავთ შოთა რუსთაველის ძეგლს“, სთქვა ამხ. ფილიპე მახარაძემ, „ნიშნად იმისა, რომ ჩვენ ვაფასებთ შრომას იმ პირებისას, რომლებიც მუშაობენ კულტურისათვის. გაუმარჯოს საქართველოს ხელოვნებას და კულტურას.

ამხ. მახარაძის სიტყვის შემდეგ ქართველმა ეროვნულმა ხორომ შეასრულა ინტერნაციონალი და ქართული ჰიმნი (დიდება). შემდეგ სიტყვით გამოვიდა ხელოვნების განყოფილების გამგე გრ. რობაქიძე, რომელმაც აღნიშნა ის, რომ [illegible] საქართველო კულტურის კერა იყო, მუდამ აღმოსავლეთში და რომ შოთა რუსთაველი გამომხატველი იყო ამ კულტურისა, შოთას ძეგლის დადგმა არის კულტურის სიმბოლო არა მხოლოდ მუშათა და გლეხთა, არამედ მთელი ქართველი ერის სიმბოლო, „გაუმარჯოს ქართველი ხალხის კულტურას და ხელოვნებას“ — დამთავრა სიტყვა გრ. რობაქიძემ. ხორომ კვლავ იმღერა ინტერნაციონალი და დიდება. ამის შემდეგ გამოვიდა სიტყვით სამხედრო და საზღვაო საქმეთა კომისარი შ. ელიავა, რომელმაც სთქვა, სხვათა შორის, შემდეგი: ჩვენ ეს არის ეხლა ჩავუყარეთ საძირკველი სოციალიზმის [illegible] მასწავლებლის ძეგლს, რომლის მოძღვრების შეოხებით საქართველო თავისუფალია. ეხლა ჩვენ დავდგამთ ძეგლს დიდ მასწავლებელს და პოეტს შოთა რუსთაველისას, რომელიც არა ერთი რომელიმე ჯგუფის გამომხატველი იყო, არამედ მთელი ხალხისა. საბჭოთა ხელისუფლება უდგამს მას ძეგლს და აფასებს მათ კულტურის ყველა მუშაკთ. გაუმარჯოს კულტურასა და ხელოვნებას.

რუს. ს. ფ. ს. რეს. წარმომადგენელმა ამხ. კიროვმა თავის სიტყვაში სთქვა: ჩვენი მტრები გვისაყვედურებენ იმას, რომ ჩვენ ყველა ერის კულტურას და ნაციონალურ თავისებურებას ვახშობთ, მაგრამ თქვენ თვითონ ხედავთ, რომ ეს სიცრუეა, პირიქით, ჩვენ დიდი სიამოვნებით ვუსმენთ თქვენს ენაზე ინტერნაციონალს, რომლის ხმებს აღფრთოვანებაში მოვყევართ ახალი ღვაწლისთვის. ორატორის სიტყვამ დიდი ოვაციები გამოიწვია. ხორომ შეასრულა ინტერნაციონალი და დიდება, რომლის შემდეგ ამხ. თოდრიამ მიტინგი დასრულებულად გამოაცხადა.

ბათუმთან ბრძოლა და საბჭოთა ძალაუფლების დამყარება საქართველოში

6.

ბრძოლები ბარცხანის და სამების სიმაგრეებთან 19—20 მარტს.

მარტის 18 ბრძოლის შემდეგ კახაბერის სიმაგრესთან, საიდანაც ოსმალთა ჯარები ქუდ-მოგლეჯილი გარბოდა, საქართველოს ჯარის ნაწილებმა მიიღეს რევკომიდან შესაფერისი განკარგულება ზავის შესახებ, რის შემდეგაც აღარ იყო მოსალოდნელი რაიმე შეჯახება. მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, ოსმალთა მხრივ მაინც იყო განზრახვები საქართველოს ჯარების წინააღმდეგ გამოლაშქრებისა, რაც ხელახლა ხელჩართულ ბრძოლებს იწვევდა. მაგალითად ღამით 18/19 მარტზე დიდი სამების სიმაგრეზე, სადაც იდგა მესამე ქვეითა ქართულ ათასეულის ერთი გუნდი ოსმალთა ჯარები გარს შემოერტყნენ და ჩაიგდეს ტყვეთ, მხოლოდ გუნდის უფროსი [illegible], რომელიც ვითომ მოსალაპარაკებლად გაიხმეს სიმაგრიდან, მუხანათურათ მოკლეს თათრებმა.

დილით, მარტის 19, ოსმალები განაგრძობდენ სროლას „გოროდოკის“ მიდამოებში და ესროდენ ყველას, ვინც გამოჩნდებოდა იმ მიდამოებში, უმთავრესად სასურსათო მაღაზიასთან, საიდანაც სურსათის მისაღებად მიდიოდნენ ჯარის ნაწილებიდან გაგზავნილი ჯარის კაცები. ჩვენი ერთი სანიტარიც იძულებული შეიქმნა დაბრუნებულიყო, რადგან თევზის მისაღებად მიმავალს ირგვლივ სროლა აუტეხეს. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ოსმალები ესროდენ აგრეთვე იმ რუსის ჯარისკაცებს, რომელნიც [illegible] სურსათის მიღება წაეღოთ შემოსულ რუსის ჯარის ნაწილებისათვის.

ასეთი იყო მდგომარეობა ზავის ჩამოგდების შემდეგ მარტის 19 მთელი დღის განმავლობაში და მეორე დღეს მარტის 20 ნასადილევამდე, როდესაც სროლა ოსმალების მხრივ განუწყვეტლივ გრძელდება და ქართველ ჯარების მხრივ იყო მრავალი შემთხვევა დაჭრილების და მოკლულებისა. იყო რამოდენიმე შემთხვევა როდესაც ბარცხანის მხრივ წამოსულ შემთხვევით ტყვიებმა დასჭრა რამოდენიმე მოქალაქე, რომელნიც ქალაქის სასადილოთ რიგში იდგენ პეტერბურგის ქუჩის დასაწყისში საბარგო სადგურის ახლოს.

მოდიოდა ცნობები, რომელიც შემდეგში გამართლდა, რომ ოსმალები [illegible] ბრძოლას და იყო შემთხვევა „გოროდოკში“ რადიო-სადგურის ბრძოლის ხაზზე ოსმალთა მხრივ ნაწილობრივ წინ წამოწევისა და იერიშების მოტანისა, მაგრამ ყოველივე ცდა ოსმალებისა ჩაშლილ იქნა ქართველ ჯარების მიერ. სასტიკ წინააღმდეგობას უწევდენ ყველგან ქართველები ოსმალებს, რომელთა განზრახვები სრულიად მოულოდნელად გააქარწყლეს ერთ მუჭა ქართველ მხედრებმა. 20 მარტს ნასადილევს ბარცხანის და „გოროდოკის“ მიმართულებით ძლიერი ტყვიისმფრქვევლთა და თოფის სროლა ისმოდა, [illegible] კახაბერიდან გრიალებდა ბარცხანისაკენ მიმართული ქართული ზარბაზნები. ეშელონებს შუა საბარგო სადგურზე უმთავრესად სადგურის წინა ლიანდაგის ხაზზე ზუზუნით გაჰქონდა ტყვიებს, მხოლოდ საერთო ხმაურს ერთგვარ ცოცხალობას და სილამაზეს აძლევდა ჩვენს ეშელონებს ზევით საბარგო სადგურის ხიდზე დადგმულ ტყვიისმფრქვეველთა დროგამოშვებითი მუშაობა.

[illegible] ნამდვილად არ ვიცოდით რაში იყო საქმე. ზავი და ასეთი ქაოსი ქმნიდა გამოურკვევლობას. ჩვენ ეშელონებთან გვერდით იდგა რამოდენიმე რუსთა ეშელონები, რომელნიც არავითარ მონაწილეობას არ იღებდენ ქართველ-თათართა ბრძოლებში. თვითონ რუსები, ამ შემთხვევაში რასაკვირველია ჯარისკაცები—წითელარმიელები უმთავრესად, ვერ გამორკვეულიყვნენ საქმის ვითარებაში. ვერ გამორკვეულიყვნენ, ვინაიდან, მათთვის სრულიად ახალი სურათი გადაიშალა ბათომის მიდამოებში, შეიცვალა საერთო მდგომარეობა. რაში იყო საქმე, ვერ გამორკვეულიყვნენ.

„Да чего это турок еще затеял“— ლუღლუღებდნენ ვაგონებთან ატუზული რუსები.

„А грузины то дерутся хорошо“— ამბობდნენ ისინი.

მართლაც და გამოურკვეველი იყო საერთოთ როგორც ჩვენთვის, მით უმეტეს რუსებისთვის ასეთი მდგომარეობა.

ოსმალთა თავხედობა იქამდის მივიდა, რომ როდესაც ღამით რუსის კავალერია გავიდა ბათომიდან ქობულეთის მიმართულებით ბათომ-ნატანების რკინის გზის ხაზის დასაცავად, მხოლოდ რუსის ცხენოსნებთან ერთად გაემგზავრენ აგრეთვე ქართველი ცხენოსნები, რომელნიც უკვე თანახმად სამხედრო და საზღვაო საქმეთა კომისრის შალვა ელიავას განკარგულებისა საბრძოლო მოქმედების მხრივ ექვემდებარებოდნენ რუს ცხენოსნების უფროსს, აი აქ, როდესაც ქართველი ცხენოსნები დაუახლოვდნენ ბარცხანის სიმაგრეებს, ოსმალებმა, რომელთაც ეკავათ ეს სიმაგრე, თოფის სროლით შეხვდენ ქართველ ცხენოსნებს.

რასაკვირველია ეს მოულოდნელი შეხვედრა იყო ქართველ ცხენოსნებისა, მაგრამ უკანასკნელნი არ დაიბნენ და მსწრაფლ, ჩამოხტნენ რა ცხენებიდან, ვაჟკაცურად ეკვეთენ მტერს და დაიკავეს ბარცხანის სიმაგრეები. ქართველ ცხენოსნებმა აქვე ტყვეთ იგდეს სამოცამდე ასკერი, ოცი ოფიცერი და ერთი ტყვიის მფრქვეველი.

(შემდეგი იქნება)

ხ. ახლანიშვილი.

აფხაზეთში

სოხუმი. მაისის 20. აფხაზეთის საგარეო ვაჭრობის განყოფილებამ ხელშეკრულობა დასდო, რომლითაც თამბაქოში უნდა მიიღოს ფართლეულობა, მედიკამენტები, ჯუთები, ფარცხები, საბარგო ავტომობილები, საავტომობილო მოწყობილობა, ძაფი და ასანთი, საერთოდ 11 მილ. იტალიის ლირის ღირებულებისა. ამ საქონლის ნაწილი უკვე სოხუმში მოიტანეს, დანარჩენი საქონელიც ჩამოვა არა უგვიანეს ივლისის პირველისა.

„კომუნა“

ს. კიცხი (ზემო იმერეთი). 13 მაისს შესდგა ყველა [illegible] სოციალისტთა კრება ადგილობრივი რევკომის მონაწილეობით. კრება გახსნა ამხ. სავლე აბულაძემ, რომელიც არჩეულ იქმნა თავმჯდომარედ, მდივნად—გრ. კვაშილავა. ამხ. აბულაძემ გააკეთა მოხსენება კიცხის თემში სოციალისტთა გაერთიანების საკითხზე პრაქტიკული მოქმედების ნიადაგზე. მან სხვათა შორის სთქვა: „ჩვენ სოციალისტები [illegible] მხოლოდ ერთმანეთთან ბრძოლას, სოციალიზმის მოსაახლოვებლად კი ბევრს ვერაფერს ვაკეთებთ, ხალხს სამართლიანად გული უტყდება ჩვენზე, ჩვენგან [illegible] სოციალიზმი ჯოჯოხეთად ეჩვენება. გვეიძახით ძალა ერთობაშიაო და თვით ჩვენ ვერ გავერთიანებულვართ ჩვენ ვე იდეალის სახელით. ჩვენი ქადაგებიდან ხალხს ჯერ ნაყოფი არ უგემნია, სოციალიზმი შეიძლება სამარადისოდ შეიძულოს.

ვინ უნდა იხსნას ჩვენი გამაერთიანებელი იდეა დაღუპვისაგან? ვინ უნდა შეაყვაროს იგი ხალხს? ისევ და ისევ ჩვენ. იმ [illegible], რომელშიდაც ჩვენ [illegible], ჩვენ უნდა ვიხმაროთ ის წმიდა —ერთობა— სოციალიზმი, რომელიც მიგვაჩნია სიღარიბის წინააღმდეგ უებარ საშუალებად, ჩვენ [illegible] კიცხის თემის სოციალისტებმა უნდა დავაარსოთ კომუნა, რომელმაც უნდა დაისახოს მიზნად კულტურულ მეურნეობის დარგებში საკუთარი ხელით მუშაობა და ნაშრომის თანასწორად გაყოფა. ამ საქმეს ექნება მნიშვნელობა არა მარტო ჩვენი თემისთვის, არამედ მთელი საქართველოსთვისაც და ყველაზე უფრო იმ იდეალის პროპაგანდისათვის, რომელშიდაც ჩვენ მშრომელთ ხალხის ხსნას ვხედავთ და რომელსაც სოციალიზმი ეწოდება“.

მოხსენების დედა აზრი ერთხმად იქნა მიღებული და გადაწყდა კავშირის დაარსება. რის შემდეგაც მიღებულ იქნა მუხლობრივი განხილვით კავშირის წესდება, თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი. დახურული [illegible] აირჩია გამგეობა: სავლე აბულაძე, კოტე მაჭავარიანი, ალ. ბაბლაძე, დავით აბულაძე და აკაკი ბერაძე. კანდიდატებად პავლუშა მაჭავარიანი და კოლია ბეგ. მაჭავარიანი. სარევიზიო კომისიაში აირჩიეს: გრ. კვაშილავა, იერ. მახარაშვილი, ნოე ფოფხაძე, კანდიდატად ერისტო ოქრომჭედლიძე.

კავშირმა გადასწყვიტა დაუყოვნებლივ შეუდგეს საქმეს.

X.

—

მინაწერი: დღემდე „კომუნამ“ მოასწრო შემდეგი:

1) დაიმუშავა სრულად ერთი ქცევა მიწა ბოსტნეულისთვის (საორწყავი).

2) იშოვა მთაში კართოფილის დასათესი ადგილი.

3) შეიძინა საჭირო თესლეული.

4) ნაწილობრივ დარგა ბოსტნეული, ირიცხება კავშირში ოცდა ხუთი მუშა წევრი. ამ დღეებში „კომუნა“ გაემგზავრება მთაში საკართოფილე მიწის დასამუშავებლად.

კავშირი „კომუნა“ ჯერ სუსტია, მაგრამ იმედებით აღსავსე, ის ელის დახმარებას და თანაგრძნობას ყველა ნამდვილ სოციალისტისაგან.

X.

კოოპერაციის საქმეთა მმართველობისაგან.

ყველა იმ პირთა რომელნიც, ამორჩევით თუ დაქირავებით მუშაობდნენ კოოპერატიულ დაწესებულებებში იქნება ის საქართველოში თუ სხვა რესპუბლიკაში და აგრეთვე იმ პირთა, რომელთაც მიიღეს კოოპერაციის შესახებ თეორეტიული ცოდნა კოოპერაციის სკოლებში ან სპეციალურ კურსებზე, წინადადება ეძლევათ შვიდი დღის განმავლობაში გამოცხადდნენ რეგისტრაციაზე კოოპერაციის საქმეთა მმართველობაში (სახალხო სამეურნეო კომისარიატში) და წარმოადგინონ შესაფერისი მოწმობები.

კოოპერაციის მმართველობის კოლეგიის თავმჯდომარე ბ. მელჩარსკი.

კოოპერაციის მმართველობის გამგე მ. რეაზენბერგი.

ახალი ამბები

— დღეს, კვირას, მაისის 29-ს, დილის 11 საათზე ხელოვანთა სასახლეში (სერგიევის, 13) დანიშნულია საქ. ხელოვანთა საერთო კრების გაგრძელება. დღის წესრიგი: კავშირის წესდების დამტკიცება. დასწრება ყველასთვის სავალდებულოა.

— **ქართული ოპერეტა.** ორშაბათს, 30 მაისს, ქართულ კლუბის თეატრში საუკეთესო ძალების მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება ქართულად ახალი ცნობილი მხიარული ოპერეტა „არშინ მალ ალან“. ბილეთები კლუბის კასაში. დასაწყისი სრულ 8 საათზე.

პარტიაში

ვერის უბნის ორგანიზაცია ამით აცნობებს, რომ საკონფერენციო საკითხების განსახილველად და დელეგატების ასარჩევად დანიშნულია პარტიულ ამხანაგების კრება სამშაბათს, საღამოს პარტიულ ბიუროში, არაგვის შესახვევი, შენობ. დაწყ. სასწავლებელი. საღ. 6 საათზე.

რადიო

ახალი მუქარა საბერძნეთს.

ბათომი, მაისის 22. ალბანეთის მთავრობამ ტირანში მიიღო საბერძნეთის მიერ წარდგენილი ულტიმატუმი, რომელიც მოითხოვდა, რომ ალბანელებს შეეწყვიტათ თავდასხმანი საბერძნეთის ტერიტორიაზე [illegible] ბერძნებს გარანტიის საკითხის [illegible] თები და აგრეთვე „ჟურნალ ლორიანის“ სწერს: მცირეოდენი ეჭვიც კი არ არის იმაში, რომ არსებობს კავშირი ალბანეთის მთავრობასა და ანგორის ბელადების შორის.

ფაიფური.

პეტერბურგი. მაისის 21. ივლისში მუშაობას დაიწყებს ფაიფურის სახელმწიფო ქარხანა, რომლის ნაწარმოებიც სოფელთან გასაცვლელ საქონლის ფონდში გადავა.

უცხოელთა კონცესიები სომხეთში.

როსტოვი. 16. სომხეთში მყოფმა იტალიის მთავრობის წარმომადგენელმა წინადადება მისცა სომხეთის საბჭოთა მთავრობას სომხეთში კონცესიის ფართოთ გეგმის განხორციელების შესახებ. სომხ. რევკომი ყოველ მხრივ ეხმარება იტალიელ კონცესიონერების მიერ სამეურნეო სამრეწველო წარმოებათა მოწყობაში.

სურსათი სომხეთში.

როსტოვი, მაისის 14. გაცხოველდა ვაჭრობა სპარსეთთან, ნახიჩევანთან და სხვა მოსამზღვრე პუნქტებთან. შემჩნეულია საბჭოთა სომხეთში სურსათის შემოტანის გაძლიერება.

პოლონეთის ავანტიურა.

ნაუენი. მაისის 21. მდგომარეობა მწვავდება, პოლონელთა ბანდებმა მცხოვრებთ ტერორი გამოუცხადეს და უკვე სისრულეში მოჰყავთ. ვარშავამ ცნობა მიიღო, რომ პოლონეთის ჯაშუშები გერმანიის მისიის ბინაზე შეიპარნენ. ერთმა დატუსაღებულმა აგენტმა დაკითხვაზე განაცხადა, რომ იგი მოქმედობს პოლონეთის სამხედრო უწყების ბრძანებით. მეამბოხეებმა ყველა ტელეფონის და ტელეგრაფის მავთულები, რომელნიც გერმანიისაკენ მიდიოდა, დასწყვიტეს. სილეზიის სამხრეთ ნაწილში პოლონეთის დიდი სამხედრო ძალა მივიდა. ვარშავის საიდუმლო პოლიციამ გერმანიის მისიის ბინაზე მომხდარ ინციდენტის გამო, გერმანიის მთავრობამ ენერგიული პროტესტი განუცხადა.

ქემალისტთა გამარჯვებანი.

ნაუენი, მაისის 21. ჰავასის სააგენტო ადასტურებს მცირე აზიაში ბერძნების ახალ დამარცხებას. ოსმალეთის ნაწილები იზმირიდან 30 კილომეტრის მანძილზე იმყოფებიან.

შეხლა-შემოხლა ინგლისსა და საფრანგეთს შორის

ნაუენი მაისის 21-ს ბრიანის ნოტის საპასუხოდ, რომელშიაც გაფრთხილებაა [illegible], ლორდმა კერზონმა განაცხადა, საფრანგეთის ჯარებმა ვერ [illegible], ინგლისის პრესაში გამოქვეყნებული ყველა ცნობები, დადასტურებულია ინგლისის წარმომადგენლების ოფიციალური [illegible].

[illegible]

დაიკარგა მატრიკული № 1049 მოცემული ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გთხოვთ ჩაითვალოთ გაუქმებულად ლევან აბდუშელიშვილი. 1058.

ქ. ლანჩხუთში.
ექიმი
ოლღა ხოშტარია
იღებს სპეციალურად ქალთა და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს.
კალისტე ჩაჩავას სახლში. 1047

ყოფ. გიმნაზიის დამამთავრებელი და [illegible] მათემატიკის მასწავლებელი ი. მარაძე
ამზადებს
საზაფხულო განმეორებითი გამოცდებზე:
მათემატიკაში, ფიზიკაში, გერმანულ და რუსულ ენებში. საშუალო სასწავლებელში და საერთო განათლების კურსებზე შესასვლელად. მასწავლებლობის, აფთიაქის შეგირდის და 4, 5, 6, 7 კლასის მოწმობაზე.
მისამართი: პლეხანოვის ქ. 25. (შესავალი ალექსის ქუჩის კუთხიდან № 5) ნახვა 9—11 ს. 2—5 ს. 1015